

ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის
N32 ოთახზე, მოქალაქე ღარეჯან გყემალაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის N32 ოთახში მცხოვრები მოქალაქე ღარეჯან გყემალაძის განცხადება /2012 წლის 07.08 Nგ-6328/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ოთახზე /მღებარე ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის N32 ოთახი/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის N32 ოთახზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ღარეჯან გყემალაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის N32 ოთახზე /საერთო ფართობი 16,95 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 16,95 კვ.მ, საერთო სარგებლობის საბაზუხულო ფართობი 3,15 კვ.მ./ მოქალაქე ღარეჯან გყემალაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ი.ჯიქია